

რეჟიმის ცვლილება და სამოქალაქო ომი

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მაგალითი

ნინო ირემაძე

*სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისხელოვნები
სა და მეცნიერებებისფაკულტეტზესაერთაშორისო
ურთიერთობებისმაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამ
ისად*

პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერებები (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა,
კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)

სამეცნიეროხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

თანმიმდევრულ დემოკრატიებსა და მყარ ავტოკრატიებში ნაკლებია სამოქალაქო ომის დაწყების ალბათობა. ამის საპირისპიროდ, ანოკრატიებსა და ქვეყნებში, სადაც ახლო წარსულში მოხდა რეჟიმის ცვლილება, განსაკუთრებით მაღალია სამოქალაქო ომის რისკი. კვლევა შეისწავლის თუ როგორი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გარემო ყალიბდება რეჟიმის ცვლილების შემდეგ და რა ფაქტორები უწყობს ხელს სამოქალაქო ომის პროვოცირებას ქვეყანაში. სამოქალაქო ომის დაწყების გამომწვევი მაკონტორლებელი ცვლადების სახითაა შემოთავაზებული, შემდეგი ფაქტორები - ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში, ეთნიკური უმცირესობების საკითხი, ელიტების დაყოფის ხარისხი, სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამოუკიდებლობის ხელმისაწვდომობის ხარისხი და საერთაშორისო კონტექსტი.

კვლევა ჩატარებულია თვისებრივი მეთოდის გამოყენებით და ეფუძნება მეორადი წყაროების ანალიზს, ხოლო კონკრეტული ქვეყნების მაგალითების შესწავლა კვლევის დიზაინს წარმოადგენს. კვლევა ადასტურებს, რომ რეჟიმის ცვლილება ზრდის ქვეყანაში სამოქალაქო ომის დაწყების საფრთხეს იმის მიხედვით, თუ რომელი ცვლადი რა ხარისხითაა წარმოდგენილი.

საძიებო სიტყვები: ტრანზიცია, დემოკრატიზაცია, ავტოკრატიზაცია, ანოკრატია, სამოქალაქო ომები

Abstract

Coherent democracies and stable autocracies are less likely to experience civil wars. On the contrary anocracies and the countries, where the regime has changed in the near past, are more prone to civil wars. The study examines what economic, political and social environment is shaped after the regime change and which are the factors that provoke onset of civil war. Next factors are playing role of controlling variables – economic condition, ethnic minorities, elite division, independence quality of civil society and international context.

The survey was conducted with using the method of qualitative analysis and is based on secondary sources. The case study of Post-Soviet countries represents the design of study. The study confirms, that regime change increases the risk of civil war and it is depended on the configuration of offered variables.

Key words: *Transition, Democratization, Autocratization, Anocracy, Civil war*